პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურული საქართველო

10 აპრილი, 1940 წ. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო № 11 (134) ფასი 30 კაპ.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმის შესახებ

ამ დღეებში შესდგა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი.

პლენუმმა მოისმინა ცნობა მთავრობის საგარეო პოლიტიკის შესახებ და ფინეთში წარმოებული ომის შედეგების შესახებ და მოიწონა ეს ცნობა.

პლენუმმა სპეციალური გადაწყვეტილებანი მიიღო ა) სოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებისა და შესყიდვის პოლიტიკაში ცვლილებების შესახებ და ბ) ეკონომსაბჭოს მუშაობის გარდაქმნის შესახებ.

პლენუმმა დაადგინა მოიწვიოს სრულიად - საკავშირო პარტიული კონფერენცია ამა წლის ივნისში.

რევოლუციის დიდი პოეტი

10 წლის წინათ უაზრო და შემთხვევითმა სიკვდილმა, რომელიც ესოდენ არ ეგუებოდა ვლადიმერ მაიაკოვსკის ბუნებასა და მისი შემოქმედების ხასიათს, შესწყვიტა ამ შესანიშნავი პოეტისა და ადამიანის სიცოცხლე.

გავიდა 10 წელიწადი, ჩვენი ძლევამოსილი სამშობლოს უდიდესი აღმავლობის, საბჭოთა კულტურის, ხელოვნებისა და ლიტერატურის ზრდის წლები და ჩვენთვის კიდევ უფრო მკაფიოდ გამოიკვეთა რევოლუციური ეპოქის ამ შესანიშნავი წარმომადგენლის სახე.

მაიაკოვსკის შემოქმედებითი გზის სიდიადე იმაშია, რომ იგი, ებრძოდა რა წვრილ-ბურჟუაზიული ინდივიდუალიზმის ნაშთებს, მთელი თავისი შეგნებით ცდილობდა და აღწევდა კიდეც იმას, რომ თავისი ხელოვნება, თავისი შესანიშნავი ოსტატობა მთლიანად მშრომელი ხალხისათვის მოეხმარებინა.

ჯერ კიდევ რევოლუციის წინადროინდელ წლებში, როცა მწერლების დიდი ნაწილი სრულიად მოსწყდა საზოგადოებრივ ცხოვრებას, მაიაკოვსკის იერიში მიჰქონდა ბურჟუაზიულ სამყაროზე, იგი მძაფრი სიძულვილით იყო გამსჭვალული მჩაგვრელებისადმი, „ყოვლიევესა და ყველაფრის მბრძანებელ ბანკირისადმი", რომელთა ძალა-უფლებაც „ფიტავდა ადამიანის სულს, სახელმწიფოებსა და მატერიკებს". კაპიტალისტურ სამყაროში არ არის ადგილი ადამიანისათვის, რადგან ბანკირებმა და კაპიტალისტებმა, ბურჟუაზიულმა მთავრობებმა და მათმა სამსჯავროებმა ადამიანის ტვინს შავი კანონი დაახურეს და გული ბორკილებით და ხუნდებით შეუბოჭეს.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ პერიოდში, გარდა მაქსიმ გორკისა, რუსულ მხატვრულ ლიტერატურაში არც ერთ მწერალს არ უწარმოებია ისეთი გაბედული ბრძოლა კაპიტალიზმის წინააღმდეგ, კერძომესაკუთრული ინსტიქტების წინააღმდეგ, როგორიც მაიაკოვსკის შემოქმედებაშია მოცემული.

იმპერიალისტურმა ომმა უფრო მეტად გაამახვილა მაიაკოვსკის სიძულვილი კაპიტალისტური წყობილებისადმი. მაიაკოვსკის უდიდეს დამსახურებად რევოლუციური პოეზიის წინაშე სამუდამოდ დარჩებიან მისი ლექსები და პოემები, რომლებშიაც დაგმობილია კაპიტალიზმის მიერ მოწყობილი ხალხთა ხოცვა-ჟლეტა. ამ ომის ყაჩაღური ხასიათი მაიაკოვსკისათვის თავიდანვე ცხადი იყო. იგი ამ ომს შეხვდა მძაფრი სიძულვილის გამომხატველი ლექსებით და პოემებით.

მეშჩანების საზიზღარ ქვეყანას მაიაკოვსკი უპირისპირებს თავის ოცნებას ახალ ადამიანზე, რომელიც ძლიერი, ლამაზი, კეთილი და ვაჟკაცი იქნება. ასეთ ადამიანს იგი უძღვნის აღფრთოვანებულ ჰიმნს, სჯერა მისი მოსვლა რევოლუციური ბრძოლების შედეგად.

დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ ფართო ასპარეზი გადაუშალა მაიაკოვსკის. რევოლუციამ გაათავისუფლა მისი შემოქმედებითი შეგნება იმ ზოგიერთ წინააღმდეგობისაგან, რომლის გადაწყვეტაც მას შეუძლებლად მიაჩნდა წინათ. და რადგან რევოლუციამ გადამწყვეტი ბრძოლა გააჩაღა იმ წყობილების წინააღმდეგ, რომლის მიმართაც მაიაკოვსკი მტრულად იყო განწყობილი, პოეტისათვის ძნელი აღარ იყო თავიდანვე ორგანიულად შეერთებოდა ძველი ქვეყნის წინააღმდეგ მებრძოლ ძალებს. მის წინაშე არ დასმულა საკითხი—მიეღო თუ არ მიეღო რევოლუცია. დიდ რევოლუციაში, ბოლშევიკების ხელით წარმართულ სოციალისტურ მოძრაობაში მაიაკოვსკიმ იგრძნო თავისი მშობლიური და მახლობელი საქმე.

რევოლუციამ შესცვალა მაიაკოვსკის პოეზიის ხასიათი. მისი პოეტური იარაღი ახალი ბრძოლებისათვის ილესება. მაიაკოვსკი იმსჭვალება რევოლუციური ოპტიმიზმით. იგი ზერელედ არ მისულა რევოლუციასთან, იგი ორგანიულად შეერწყა მას. მაიაკოვსკიმ დიდი მხატვრის მთელი გულით, გრძნობით, შემეცნებით, რომელიც მხოლოდ მომავლისაკენ იცქირება, იგრძნო, რომ ბოლშევიკური პარტია მოწინავე კაცობრიობის საქმეს აკეთებს.

სამოქალაქო ომის წლებში მაიაკოვსკი უდიდეს მუშაობას და პოეტურ საქმიანობას ეწევა. იგი პოეტიც არის, მხატვარიც, პლაკატისტიც და სხვ. მისი სააგიტაციო ლექსები ყველგან ვრცელდება, ყველგან მასებში მათ რევოლუციური შეგნება შეაქვთ. ამ ხანებში დასწერა მან „150.000.000", „მისტერია ბუფ" და სხვა საყურადღებო ნაწარმოებები.

მაიაკოვსკის შემოქმედებითი მოღვაწეობა უფრო მეტის ბრწყინვალებით გაიშალა და განვითარდა სამოქალაქო ომის დასრულების შემდეგ. ბრძოლა საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერებისა და სიმტკიცისათვის, ბრძოლა სოციალისტური მშენებლობისათვის, ბრძოლა რევოლუციის მტრების წინააღმდეგ ხდება მისი შემოქმედების მთავარ თემად ამ პერიოდში. იგი სწერს თავის საუკეთესო პოემებს—„ლენინ"-ს და „კარგია"-ს.

ტრაგიკული დაღუპვის წინ მაიაკოვსკიმ დასწერა შესავალი პოემისა „მთელი ხმით". ამ ნაწყვეტში მაიაკოვსკი თითქოს აჯამებდა თავის პოეტურ გზას. იგი ამბობს, რომ პოეზია ძლიერი იარაღია სოციალიზმისათვის ბრძოლაში. მთელი თავისი სიძლიერით მოსჩანს პოემის ამ შესავალში პოეტი-აგიტატორი, პოეტი, რომელიც მობილიზებული და მოწოდებულია რევოლუციისაგან.

„წმინდა ხელოვნების" დამცველები მაიაკოვსკის უსაყვედურებდნენ, თითქოს იგი „წვრილმანებზე ხურდავდებოდა", ამცირებდა თავის ნიჭს „ყოველდღიურობაზე" გამოხმაურებით. მაგრამ სწორედ ეს აქტუალობა, თემის კონკრეტულობა აძლევდა მაიაკოვსკის დიდ ძალას, ყოველი ლექსის თემას მაიაკოვსკი უკავშირებდა კაცობრიობის ბედნიერებისათვის ბრძოლის საერთო ამოცანებს. მაიაკოვსკი ყველაფერზე ფიქრობდა, დაწყებული სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობის საკითხებით, მისი სამხედრო-თავდაცვის უნარიანობის განმტკიცებით, საერთაშორისო პრობლემებით და გათავებული ვიწრო ყოფა-ცხოვრებით საკითხებით. მაიაკოვსკის ყველგან შეჰქონდა ცოცხალი, შემოქმედებითი სიტყვები, იგი ხელს უწყობდა ბოლშევიკური ლოზუნგების გავრცელებას.

მაიაკოვსკი გადაიქცა მშრომელი მასების ნამდვილ სახალხო პოეტად. მაიაკოვსკის გაგებით მწერლის ხალხურობა არ იფარგლება მხოლოდ იმით, რომ პოეტმა სწეროს სადა, მილიონებისათვის გასაგები და მისაწვდომი ლექსები. თუ მწერალს ბოლომდე ორგანიულად ნაგრძნობი და განცდილი არა აქვს რევოლუციური დამოკიდებულება სამყაროსადმი, მის მოვლენებისადმი, იგი, მაიაკოვსკის აზრით, ვერ იქნება ჩვენი დროის სახალხო პოეტი. მაიაკოვსკი მთლიანად ხალხურია იმიტომ, რომ მისი შემოქმედება არა მარტო აღბეჭდავდა სოციალიზმისათვის მებრძოლი მილიონი ადამიანების ახალ აზრებს, გრძნობებსა და განწყობილებებს, არამედ იგი წინასწარ სჭვრეტდა, აყალიბებდა და რაზმავდა ამ გრძნობებსა და განწყობილებებს.

მაიაკოვსკი იყო საზოგადოებრივი ბრძოლის აქტიური მონაწილე, ცხოვრების სიღრმეში შესული შემოქმედი, რომელიც არა მარტო უმღეროდა სოციალიზმს, არამედ მისთვის პრაქტიკულადაც თავდადებით იბრძოდა. ამ გარემოებამ მაიაკოვსკის ნიჭს საშუალება მისცა განვითარებულიყო მთელი სიძლიერით და მრავალფეროვანებით. სწორედ ამიტომ დაახასიათა დიდმა **სტალინმა** მაიაკოვსკი საყოველთაოდ ცნობილი სიტყვებით: „მაიაკოვსკი იყო და დარჩება ჩვენი საბჭოთა ეპოქის საუკეთესო, უნიჭიერეს პოეტად". ბელადის ეს სიტყვები შესანიშნავად და ამომწურავად ახასიათებენ რევოლუციის დიდ პოეტს.

მაიაკოვსკი მასებისათვის საყვარელი პოეტია, რომელიც თავისი შემოქმედებით აქტიურ მონაწილეობას ღებულობს კომუნიზმის მშენებლობის საქმეში.

ფრთხილი მარში

ვლ. მაიაკოვსკი

ამხანაგო, გამოფხიზლდი ჩქარა!
ოთხი თვალი გამოისხი დღეს!
შუბლმაგარ ბრიტანელთ
მუქარა
ჩვენს რესპუბლიკას
უმზადებს საფრთხეს.
ამხანაგო,
მუდამ მარჯვედ,
სჭრიდეს
შენი თვალი!
ამხანაგო,
შენ გეჭიროს
დენთი
მუდამ მშრალი!
ბრახუნით აწევბიან
ბიუროს არკოსისა,
ყოველ მხრიდან ჟინით,
როგორც ძალაყინით,
შუბლით ქოქუსისა,
მშვიდობიან სეიფს ისინი
ამსხვრევენ სისინით.
მათთან,
ამხანაგო,
ჩვენ არა გვაქვს
საერთო ენა.
გეჭიროს,
ამხანაგო,
დენთი
მშრალად შენა!
ჩვენთვის ნაცნობია იმათი
სიფათი,
მათი სითაღლითე
გვსმენია მრავალჯერა.
სჩვევიათ ყალბ საბუთზე
ყალბი ხელმოწერა.
სიყალბეს
არ თვლიან საძრახად
და არც ენანებათ
ქაღალდის ნაფლეთი.
ამხანაგებო,
უნდა შეინახოთ
თქვენ მშრალად
დენთი!
ქალბატონ ინგლისს ფინიები
მისდევენ გუნდათ,
ჰყეფენ თამამად—
უკვე ახალ ვრანგელებს
კიდევ რაღაც უნდათ,
გაეხსნათ მადა მათ.
შენ იმ მყეფარებზე,
ამხანაგო,
გეჭიროს თვალი.
მზად გქონდეს,
ამხანაგო,
შენ დენთი
მშრალი!
ჩვენ ვაშენებთ,
ჩვენ ვმკით
და ვთესავთ.
მშვიდობიანობა
ლოზუნგად ვაღიარეთ,
მაგრამ
თუ დაგვჭირდა,
შაშხანასაც ავიღებთ,
ხმალსაც ავლესავთ,
ჩვენ თავდასაცავად
ვიბრძოლებთ ცხარედ.
ჩვენ,
ამხანაგო,
გუთნიდან ომში
გვითრევენ ძალად.
გეჭიროს,
ამხანაგო,
შენ დენთი
მშრალად!

თარგმანი გრ. ცეცხლაძისა

იქ, სადაც დაიბადა მაიაკოვსკი

„...ამა-ზედ აღაშენეს ოსმალთ ციხე თხმელის ხისაგან, — მოგვითხრობს ვახუშტი ბატონიშვილი—ამისათვის უწოდეს იმერთა თხმელის ციხე, და პირველ ეწოდა ადგილსა ამას ბაღდადი: არამედ შემდგომად აღაშენეს ქვითკირითა, და დგანან აწ ოსმალნი იენჩიჩრით, და არს საჭურო ყოველნი, განა უფროს ტყვენი"...

ასეთია ბაღდადის უძველესი ისტორია. იგი არაფრით არ განსხვავდება საქართველოს რომელიმე სხვა კუთხის ისტორიისაგან. შესანიშნავი ადგილია ბაღდადი. ზემო იმერეთი აქ თავდება და აქვე იწყება ქვემო იმერეთი. ბაღდადს ორივე იმერეთის დამახასიათებელი ლანდშაფტი შეუნარჩუნებია და ორივე იმერეთის ულამაზეს კუთხედ გამხდარა. ტყუილად კი არ დაურქმევიათ მისთვის თურქებს ისლამის ცენტრის, მუსულმანების ისტორიული ქალაქის—ბაღდადის სახელი.

რიონის თვალუწვდენი ჭალა, აჯამეთის ხშირი ტყე, ზეკარის უღელტეხილი და სამცხე... რამდენ ურდოს გაუვლია ეს გზა, რამდენ დამპყრობელს გადაუთელია ეს ნაყოფიერი მინდვრები და ვენახები.

ვერც ლამაზი ტყეებით ვაჭრობამ გაუთქვა სახელი ბაღდადს ძველად, ვერც შესანიშნავმა ღვინომ შემდეგში, ვერც უძველესი ციხის ნანგრევებმა და ვერც ხანის წყლის შეუდარებელმა კალმახმა.

* * *

„ტყეებს ზემოთ მთებია. წამოვიზარდე. ავრბოდი ყველაზე მაღალზე. მთები ჩრდილოეთისკენ ეშვებიან. ჩრდილოეთი წყვეტილია. ვოცნებობდი — ეს რუსეთია".

ასე იგონებს „რომანტიზმის ფესვებს" ის კაცი, რომელმაც შემდეგ ეს მთები გადაიარა და რომელმაც ბაღდადის ცა პირველად ახსენა ბროდვეის ბრწყინვალე ლამპიონებისა და იაპონიის ზღაპრული თეთრი ალუბლების გვერდით.

ამ კაცს — ვლადიმერ მაიაკოვსკის — წილად ხვდა პოპულარული გაეხადა საქართველოს უმშვენიერესი კუთხე, თავისი სამშობლო სოფელი ბაღდადი.

საკუთრივ ბაღდადზე არაფერი არ დაუწერია მაიაკოვსკის. მან იგი ერთხელ მოიხსენია თავისი ვალების პირველ რიგში, იმ ვალების, რომლების გადახდაც მას აღარ დასცალდა.

მაგრამ ბაღდადის ცა ანათებს ამ დიდი პოეტის შემოქმედებისა და ცხოვრების მთელ გზას, რომანტიზმის ბაღდადისეული ფესვები ასაზრდოებენ მის ლამაზ ოცნებას.

იგი პირველი დიდი რუსი პოეტი იყო, რომელმაც თავის თავს არაერთხელ უწოდა ქართველი, რომელსაც საქართველო ისეთივე დიდი სიყვარულით უყვარდა, როგორც დიდი რუსეთი.

* * *

ბაღდადის თეატრი ხალხითაა გაჭედილი. მოწინავე კოლმეურნეები, მუშა - მოსამსახურეები — რაიონის მშრომელთა მთელი აქტივი შეკრებილა, რომ საზეიმოდ აღნიშნონ ხსოვნა თავისი დიდი მეზობლის და „სახლიკაცისა". მათ შორის ბევრს ახსოვს ხანისწყლის ნაპირებზე და ბაღდადის ციხის ნანგრევებზე მორბენალი პატარა ვოლოდია. უფრო ახალგაზრდებს მარტო სურათით უნახავთ, ან „პარტიული წიგნების ტომებით" გაუცვნიათ ვლადიმერ მაიაკოვსკი.

ხალხმრავალი შეკრება ნამდვილ სახალხო დღესასწაულად გადაიქცა.

პრეზიდიუმის მაგიდასთან სხედან თბილისელი სტუმრები: საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი ამხ. **ი. თავაძე**, მწერლები: **ალ. მაშაშვილი, ს. ჩიქოვანი, ი. მოსაშვილი, კ. კალაძე, გრ. აბაშიძე, ბ. ჟღენტი, მიქ. პატარიძე**, პარტიის ბაღდადის რაიკომის მდივანი ამხ. **მაისურაძე**, რაიონის ხელმძღვანელი ამხანაგები, მოწინავე კოლმეურნეები, ინტელიგენციის წარმომადგენლები.

ხანგრძლივი ტაშით ირჩევენ საპატიო პრეზიდიუმს დიდი ბელადის ამხანაგ **სტალინის** მეთაურობით.

ბაღდადის რაიონის ბედნიერი მოსახლეობა ფეხზე ამდგარი უმართავს ოვაციას საამური ცხოვრების დიად შემოქმედს, მზრუნველ მამას და მასწავლებელს — დიდ **სტალინს**.

ვლადიმერ მაიაკოვსკის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მოხსენებისთვის სიტყვა ეძლევა ბ. ჟღენტს. მომხსენებელი მოუთხრობს დამსწრეებს რევოლუციის უნიჭიერესი პოეტის შემოქმედებითს თავისებურებაზე, მის შესანიშნავ ცხოვრებაზე და მშრომელი ხალხისადმი ერთგულებაზე, იმაზე, თუ რით დაიმსახურა პოეტმა დიდი **სტალინის** მაღალი შეფასება, მშობლიური ხალხის სიყვარული.

მოხსენების შემდეგ მოგონებებით მაიაკოვსკის შესახებ გამოვიდნენ ორდენოსანი პოეტები: ალ. მაშაშვილი, სიმ. ჩიქოვანი, კოლმეურნეები — ი. ჯავახია, სვანიძე, ო. კუპუხიძე.

ბაღდადის საშუალო სკოლის მასწავლებელს კოტორეიშვილს შემოაქვს წინადადება — ბაღდადს, სადაც დაიბადა მაიაკოვსკი, ეწოდოს მაიაკოვსკი, ხოლო ბაღდადის რაიონს — მაიაკოვსკის რაიონი. მთელი დარბაზი ფეხზე დგება და აღფრთოვანებული ტაშით ეგებება ამ წინადადებას.

აქტივის კრებას გამოაქვს რეზოლუცია, რომელშიაც რაიონის მშრომელები შუამდგომლობენ საქართველოს უმაღლეს საბჭოს წინაშე, რათა ბაღდადს და მის რაიონს დაერქვას მაიაკოვსკი.

ამის შემდეგ პოეტები ი. მოსაშვილი, გრ. აბაშიძე, მ. პატარიძე კითხულობენ თარგმანს მაიაკოვსკის ლექსებისას.

ბაღდადის ნინოშვილის სახელობის საშუალო სკოლის მერვე კლასის ფრიადოსანმა მოწაფემ ნორა თოდაძემ წაიკითხა მაიაკოვსკის ლექსი.

მაიაკოვსკისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსი წაიკითხა პოეტმა ს. ეულმა.

საკუთარი ლექსები წაიკითხეს: ა. მაშაშვილმა, ი. მოსაშვილმა, ს. ჩიქოვანმა, კ. კალაძემ, გ. გიასელმა და სხვებმა.

დასასრულ გაიმართა დიდი კონცერტი.

სსრ კავშირის 1-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია

კანონი კარელიის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კარელია-ფინეთის მოკავშირე საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გარდაქმნის შესახებ

აკმაყოფილებს რა კარელიის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელთა სურვილს და ხელმძღვანელობს რა ერთა ენებათა თავისუფალი განვითარების პრინციპით, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. ტერიტორია, რომელიც სსრ კავშირისა და ფინეთის 1940 წლის 12 მარტის საზავო ხელშეკრულების საფუძველზე ფინეთისაგან სსრ კავშირის ხელში გადმოვიდა, გარდა მცირეოდენი ზოლისა, რომელიც უშუალოდ ეკვრის ლენინგრადს, გადაეცემულ იქნას კარელიის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში, მათ შორის გადაცემულ იქნას ქალაქები: ვიბორგი, ანტრეა, კექსჰოლმი, სორტავალა, სუოიარვი, კუოლაიარვი.

2. კარელიის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა გარდაიქმნას მოკავშირე კარელია-ფინეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად.

3. გადაცემულ იქნას კარელია-ფინეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის განკარგულებაში იმ ტერიტორიაზე მდებარე სამრეწველო საწარმონი, რომელიც ამ კანონის პირველი მუხლის თანახმად, კარელიის შემადგენლობაში გადადის, გარდა საწარმოთა მცირე რაოდენობისა, რომელთაც საერთო-საკავშირო მნიშვნელობა აქვთ.

4. ეთხოვოს რუსეთის საბჭოთა ფედერატიული სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს და კარელია-ფინეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს წარმოუდგინონ სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს განსახილველად რსფს რესპუბლიკასა და კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკას შორის ზუსტი საზღვრის დაწესების პროექტი.

5. სსრ კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 34 და 35 მუხლების შესაბამისად, ჩატარდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნები კარელია-ფინეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისაგან.

6. მიენდოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დანიშნოს არჩევნების დღე.

7. ამ კანონის შესაბამისად, შეტანილ იქნას დამატება სსრ კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 13 მუხლში, რომელიც ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„მუხლი 13. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი არის საკავშირო სახელმწიფო, შექმნილი თანასწორუფლებიანი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ნებაყოფლობით გაერთიანების საფუძველზე:

რუსეთის საბჭოთა ფედერატიული სოციალისტური რესპუბლიკისა,
უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა,
ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა,
აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა,
საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა,
სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა,
თურქმენეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა,
უზბეკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა,
ტაჯიკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა,
ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა,
ყირგიზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა,
კარელია-ფინეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა".

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი.
მოსკოვი, კრემლი. 1940 წ. 31 მარტი.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოში

მეცნიერების, სამხედრო ცოდნის, გამომგონებლობის, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგის თვალსაჩინო ნაშრომებისათვის სტალინის სახელობის პრემიების მიკუთვნების წესის შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა მეცნიერების, სამხედრო ცოდნის, გამომგონებლობის, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგის თვალსაჩინო ნაშრომებისათვის სტალინის სახელობის პრემიების მიკუთვნების წესი.

სტალინის სახელობის პრემიები, რომლებიც დაწესებულია სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1939 წლის 20 დეკემბრისა და 1940 წლის 1 თებერვლის დადგენილებით, ყოველწლიურად მიეკუთვნებათ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ მეცნიერების, სამხედრო ცოდნის და გამომგონებლობის დარგის სტალინური პრემიების კომიტეტის და ლიტერატურისა და ხელოვნების დარგის სტალინური პრემიების კომიტეტის წარდგენით. ეს კომიტეტები შექმნილია სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან მეცნიერების, სამხედრო ცოდნის, გამომგონებლობის, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგის იმ ნაშრომების წინასწარ განსახილველად, რომლებიც სტალინის სახელობის პრემიების მისაღებად წარადგენენ.

მეცნიერების, სამხედრო ცოდნის, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგის ნაშრომები, აგრეთვე განაცხადები ან გამოგონებათა აღწერილობანი სტალინის სახელობის პრემიების მისაღებად საჭირო ყველა დოკუმენტალური მონაცემის თანდართვით, წარედგინება სტალინის პრემიების კომიტეტებს ყოველწლიურად არაუგვიანეს 15 ოქტომბრისა, ხოლო უკანასკნელნი ამ ნაშრომებსა და განაცხადებს პრემიების მიკუთვნების წინადადებით წარუდგენენ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს არაუგვიანეს 1 დეკემბრისა.

სტალინის სახელობის პრემიების მისაღებად წარდგენილ უნდა იქნას მხოლოდ ახალი ნაშრომები ან გამოგონებანი, რომლებიც დამთავრებულია პრემიების მინიჭების წელს. ნაშრომებისა და გამოგონებათა წარდგენა შეუძლიათ სამეცნიერო საზოგადოებებს, სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტებს, უმაღლეს სასწავლებლებს და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

15 ოქტომბრიდან 31 დეკემბრამდე დამთავრებული ნაშრომები ან გამოგონებანი შეიძლება წარდგენილ იქნას სტალინის სახელობის პრემიების მისაღებად შემდეგ წელს.

მეცნიერებისა და სამხედრო ცოდნის დარგის ნაშრომები და გამოგონებათა აღწერილობანი შეიძლება წარდგენილ იქნას ყოველ ენაზე 3 ცალად, საწერ მანქანაზე და სასტამბო წესით დაბეჭდილი სახით; ლიტერატურული, მუსიკალური ნაწარმოებნი და არქიტექტურულ ნაგებობათა პროექტები წარდგენილ უნდა იქნას ერთ ცალად, ხელოვნების დანარჩენი ნაწარმოებნი კი — ორიგინალის სახით.

შეფასება და პრემიების მიკუთვნება სათეატრო ხელოვნებისა და კინემატოგრაფიის დარგის ნაშრომებისათვის ხდება როგორც წარმოდგენილი მასალების (პიესები, სცენარები, მაკეტები და სხვ.) საფუძველზე, ისე ნაჩვენები კინოფილმებისა და სათეატრო დადგმების საფუძველზედაც.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი მეცნიერების, სამხედრო ცოდნის, გამომგონებლობის, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში თვალსაჩინო ნაშრომებისათვის სტალინის სახელობის პრემიების მიკუთვნების შესახებ ქვეყნდება ცენტრალურ პრესაში 21 დეკემბერს. იმ პირებს, რომელთაც სტალინის სახელობის პრემია მიიღეს, დიპლომი ეძლევათ.

მეცნიერების, სამხედრო ცოდნისა და გამომგონებლობის დარგში სტალინის სახელობის პრემიების კომიტეტი სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა ასეთი შემადგენლობით:

კომიტეტის თავმჯდომარე — აკადემიკოსი ა. ნ. ბახი.

თავმჯდომარის მოადგილენი — 1) აკადემიკოსი ტ. დ. ლისენკო, 2) უმაღლესი სკოლის სრულიად-საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარე ს. ვ. კაფტანოვი

და კომიტეტის წევრები: ა. ი. აბრიკოსოვი, ა. ა. ბაიკოვი, ა. ა. ბოგომოლეცი, ე. ს. ვარგა, ა. გ. ვოვკო, ბ. ნ. ვედენისოვი, კ. ვ. გორევი, ვ. ა. დეგტიარევი, ა. ფ. იოფე, ტ. ყარა-ნიაზოვი, ა. კ. კოლენკოვსკი, ვ. ლ. კომაროვი, გ. პ. კოსიაჩენკო, ა. ნ. კრილოვი, ვ. ვ. კუზნეცოვი, ნ. ს. კურნაკოვი, მ. ნ. ლოგინოვი, ი. ა. მანანდიანი, ვ. ა. მელიქოვი, მ. ბ. მიტინი, ნ. ი. მუსხელიშვილი, ვ. ა. ობრუჩევი, ლ. ა. ორბელი, ვ. ა. პეტროვსკი, პ. ნ. პოსპელოვი, ვ. პ. პოტიომკინი, ს. პ. სტავიცკი, ე. ვ. ტარლე, ი. პ. ტრაინინი, ა. ა. ჩერნიშევი, ე. ა. ჩუდაკოვი, ო. ი. შმიდტი, ა. ს. იაკოვლევი, ე. მ. იაროსლავსკი.

ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში სტალინის სახელობის პრემიების კომიტეტი სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა ასეთი შემადგენლობით:

კომიტეტის თავმჯდომარე — სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკო.

თავმჯდომარის მოადგილენი — 1) რ. მ. გლიერი, 2) მ. ა. შოლოხოვი, 3) ა. პ. დოვჟენკო

და კომიტეტის წევრები: ნ. ნ. ასეევი, გ. ფ. ალექსანდროვი, ა. ვ. ალექსანდროვი, კულიაშ ბაისეიტოვა, ი. გ. ბოლშაკოვი, ვ. ა. ვესნინი, ი. ე. გრაბარი, ა. ვ. გოლდენვეიზერი, ა. მ. გერასიმოვი, ა. ს. გურვიჩი, უ. ჰაჯიბეკოვი, ა. კ. გულაკიანი, ი. ო. დუნაევსკი, იანკა კუპალა, ე. მ. კუზნეცოვი, ა. ე. კორნეიჩუკი, ი. კ. ლუპოლი, ვ. ი. მუხინა, ს. დ. მერკუროვი, აბდილას მოლდიბაევი, ა. გ. მორდვინოვი, ი. მ. მოსკვინი, ს. მ. მიხოელსი, ნ. ი. მიასკოვსკი, ხალიმა ნასიროვა, ს. ა. სამოსუდი, რ. ნ. სიმონოვი, ი. ი. სუდაკოვი, ა. ნ. ტოლსტოი, ა. ა. ფადეევი, მ. ბ. ხრაპჩენკო, ა. ა. ხორავა, მ. ე. ჭიაურელი, ნ. კ. ჩერკასოვი, ი. ა. შაპორინი, ფ. მ. ერმლერი.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ სტალინის სახელობის პრემიების აღნიშნული კომიტეტების დებულება.

ხაშიმ სმირბა

რაჟდენ გვეტაძე

(ნაწყვეტი პოემიდან)

ღამე არი მოვერცხლილი,
ვარსკვლავებით ცა შემკულა.
დგას ჯიხვივით მთვარის ახლო
ღრუბლის ერთი თეთრი ქულა.
გარს ისეთი სიჩუმეა
კაცის ენით ჯერ არ თქმულა.

მხოლოდ სიო არხევს ფოთლებს,
ფრთებს ისწორებს სადღაც ორბი.
საიდუმლო რამ ჩხრიალით
მთიდან წყარო ნელა მორბის.
ქვევით ზღვაა. თითქოს იყოს
ფირუზებით სავსე როფი.

სიჩუმეა. მყუდროება.
ძაღლიც არ ჰყეფს, ეზოს მცველი.
აივანზე ზის ხაშიმი
ახვევია ფიქრი მწველი.
დევს უძრავად, როგორც კუნძი,
აქვს თვალები ცრემლით სველი.

ირგვლივ სხივებს აფრქვევს მთვარე,
ის კი ხედავს მხოლოდ წკვარამს.
ხედავს როგორ გაუშლია
ამ წალკოტში ფრთები არამს,
და ვაჟკაცი ველარ უძლებს
ზღრუბლზე მომდგარ ჭირს და ვარამს.

ან კი როგორ გაიმეტოს
ეს მიდამო და ეს კარი.
როგორ უნდა აიტანოს
სხვა ქვეყნის მზე და სხვა ქარი,
ან სად არის ასეთი ცა
სუფთა, როგორც მინანქარი!

როგორ დასთმოს, მიატოვოს
სამშობლო და ფუძე, კერა,
სადაც თვალი გაახილა,
იგრძნო დედის გულის ძგერა,
სადაც მამამ ბავშს პირველად
ქალამანი შეუკერა.

სადაც ცხენით მოჯირითეს
მოუწყვიტავს ხიდან ვაშლი.
სადაც სიყრმე გაატარა,
ამოსვლია წვერ-ულვაში,
სადაც თვითონ გახდა მამა
და უგრძვნია სითბო ქვაშიც.

ეს წმინდა ცა და მსუბუქი
ახლა თავზე ლოდად ადევს.
მახაჯირის ბედი აკრთობს,
გულში ბოღმას ველარ ატევს,
და თვის ჭერქვეშ მწარე ოხვრით
უკანასკნელ ღამეს ათევს.

II

ვით პატარძალი კვლავ ჩადრმა
მთვარე ღრუბლებმა დამალა.
მთიდან სოფლისკენ დაეშვა
მსუბუქ ჩრდილების ამალა
და სიჩუმეში უეცრად
სადღაც იყივლა მამალმა.

შეკრთა ხაშიმი. წამოდგა.
თვალებზე ხელი მოისვა.
კვლავ დაჯდა. თავისი ლანდი
გვერდს სტუმარივით მოისვა,
ერთი შეხედა უსიტყვოთ
და ისევ დარდმა მოიცვა.

უცებ მოისმა გოდება,
თითქოს შორს ქარი ჰკიოდა.
თურმე ცოლს, ბავშვთან მწოლარეს,
სიზმარში ცრემლი დიოდა,
და ვით დაჭრილი ირემი
უმწეოდ ძილში ჩიოდა.

ცეცხლი მოედვა, აქამდე
მორჩილად ბედის მადევარს,
ამოხდა ოხვრა ზვაური
მდუმარეთ ღამის მათევარს.
წამოხტა. ხელი ჩაავლო
ვადაში ფიცხლავ სატევარს

ბუნაგდანგრეულ ვეფხს ჰგავდა,
ფერი დაედვა მზარავი.
ნაპერწკლებს ჰყრიდა თვალთაგან
მაგრამ არ ჩანდა არავინ,
ირგვლივ უკუნი სუფევდა
მისი ტანჯვების მფარავი.

მნათობი ისევ გამოჩნდა,
მოსპო ჩრდილების თარეში.
ხაშიმთან ძაღლი მივიდა
როგორც ერთგული ფარეში,
თითქოს ნუგეში უნდა სცეს
ჩავარდნილს სიმწუხარეში.

წკმუილით შემოეხვია
ფეხებზე როგორც წალამი.
და როცა დაბლა დახარა
მთვარემ ქათქათა ალამი
ხაშიმი ქვევით ჩავიდა,
ცრემლებით სახე ნალამი.

მიმოიარა გარემო,
შემდეგ ძირს უცებ დაეცა.
მიწას ჩაეკრა და მკერდით
ბალახი მოსრა, დაკეცა,
კვნესით ჩასძახა მიწის გულს,
იქნებ ხმა მასაც გაეცა.

დიდხანს უთრთოდა მხარბეჭი
მიწაზე პირქვე დამხობილს.
მერმე წამოდგა მუხლებზე
და ცისკენ ხელებ აპყრობილს
უნდოდა ზედ დაკვდომოდა
სამშობლოს, მტრისგან დაპყრობილს.

როგორც-კი მთვარე დაბნელდა
მთებს იქით გადანახარი
მყისვე ორივე ხელებით
გულს მიიბჯინა ლახვარი,
წითელ ზოლებათ ჩამოჰყვა
სატევარს სისხლი ნაღვარი.

ამ დროს ხაშიმთან მივარდა
ძაღლი კეთილი სურვილით.
ხელიდან გააგდებინა
მახვილი სისხლში ცურვილი.
კვლავ გაახილა თვალები
სიკვდილის ნისლით ბურვილი.

და მოაგონდა ცოლშვილი,
მდუმარეთ თავი დახარა.
ბოლოს სისხლიან სატევრით
მიწა საჩქაროთ ათხარა,
ბილო პეშვით, აკოცა
და ჩაბალახში ჩაყარა.

III

დილის რძისფერი ნისლი ეხვევა
ცამდე ატყორცნილ მთების მწვერვალებს.
ნამგალა მთვარე ჩამოულიათ,
გემის ანძანზე ახლა ელვარებს.
ბორიო დაჰქრის და ჯეჯილივით
ზღვა იშმუშნება, ოდნავ მღელვარებს.

ხომალდი ბორგავს. გველეშაპივით
ნთქავს მახაჯირებს და აჩანაგებს.
ზოგი ხარივით საზარლად ბღავის,
ზოგი ეწევა მახვილს ჩანაგებს
და ენანება, რომ სტოვებს ფუძეს
მამაპაპათა ძვლებით ანაგებს.

ხაშიმი ისევ ნაპირზე არი
და მიწას ფეხებს ველარ აცილებს.
ხან მთებს გახედავს, ხან ზღვას თვალუწვდენს
და გულში ბოღმას ველარ აძინებს.
ხან ძაღლს ხელს მოხვევს და თავის ტანჯვას
უკანასკნელად მას უნაწილებს.

უბიხებს როგორ ჩაუქრეს კერა,
წაართვეს ქოხი ისლით ნახური,
რომ ველარ შესძლოს ამიერიდან
მშობელი ქვეყნის მკლავით მახური
და მოკვდეს სადღაც, შორ ოსმალეთში
ვით მაწანწალა და უსახური.

ველარ იხილოს ამ ცის ვარსკვლავი,
ამ მთის და ბარის მწვანე ბალახი.
ყველაზე ბოლოს ავიდა გემზე
როგორც ნაცემი და განალახი.
და სანუგეშოთ, უცხო მხარეში,
წაიღო მიწა თან ჩაბალახით.

ხმელეთზე დარჩა ძაღლი და ყეფით
ეძახის პატრონს გადანაბირებს.
ხან უსასოოთ ძირს წამოწვება
ხანაც აწყდება მკერდით ნაპირებს.
ხაშიმთან ერთად სურს გაჰყვეს ხომალდს,
ზღვაში გაცურვას ლამობს, აპირებს.

დაიძრა გემი და წაიყვანა
გადახვეწილი ხალხი ალალი.
აფრები ნელა იკარგებიან
როგორც ღრუბლები გადანალალი.
გემის ერდოზე იდგა ხაშიმი,
ირგვლივ ისმოდა მოთქმა, ვალალი.

იდგა და უკან ჰრჩებოდა თვალი,
დაჭრილი მკერდი უფრო ტკიოდა,
რომ ახლა ცოლი პატარა ბავშვით
ძილში კი არა ცხადად კიოდა
და მოაჯირთან ნახოკ ლაწვებზე
ხშირ სეტყვასავით ცრემლი ცვიოდა.

უცებ ხაშიმი შეხედავს — ზღვაში
მოცურავს ძაღლი, ვით დანაბარი.
მოსდევს გულდაგულ აფრების შრიალს.
ხან იკარგება ზვირთით ნაფარი,
ხან გამოჩნდება ისევ ერთბაშათ
წერტილის მსგავსი და თანაბარი.

მზე ამოვიდა და თვალისმჭრელი
მოოქროვილი ბადე გაშალა.
მაგრამ ხაშიმი დგას უსინათლოთ
მწუხარებისგან სულმთლად გამშრალა,
რადგანაც ტალღამ, დიდიხანია,
შავი წერტილი ზღვაზე წაშალა.

IV

მახაჯირების გოდების ხმამ ცას აუწია,
ხაშიმიც კვნესის მწუხარებით შუბლდანაღარი, —
რომ წალკოტივით გადაშლილი და განახარი
მისი სამშობლო დღეს მუხლებზე მტერს დაუცია.

ნანობს: პასუხი მტარვალისთვის არ გაუცია,
მოშორდა ფუძეს ლაჩარივით თავდანახარი.
ნეტავი ვისაც ველზე მიწა აქვს დანაყარი
და მამაცობა შვილისათვის გადაუცია.

გემზე დაგდებულს ენატრება ხმა ვაჟკაცური,
მაგრამ ღამეში ესმის მხოლოდ აფრის ტკაცუნი
და ანძის წვერზე ნამგალივით მთვარე კიაფობს.

უცებ გაყუჩდა. გემიც ტალღებს ნელა მიაპობს —
შეხედა: ცოლი, მტირალე ბავშს უმღერდა ნანას,
და უნებლიეთ მას სიცოცხლე კვლავ დაენანა.

V

ხაშიმს მდუმარეს და განაყურჩებს
აგონდებოდა კვლავ წინაპრები.
ზღვა ასკდებოდა გემის ლაყუჩებს,
გედის ფრთებივით თრთოდენ აფრები.

ბობოქარ ტალღებს დანაჯახებთ
ხომალდი ზღვაში დიდხანს ცურავდა.
ცა ხან მზით იყო განაჩალები,
ხან ხაშიმივით ცრემლს იწურავდა.

უცებ მზე ჩაჰქრა გაუხუნარი,
დაღამდა რაღაც გასაკვირველად.
ხაშიმს წაერთვა ფიქრის უნარი
და ჩაეძინა გემზე პირველად.

დილას ცა ნახა—იდგა ვით ფური,
ჯიქნიდან თითქოს რძე ელვრებოდა.
ზღვაზე წვებოდა ნისლი დაბური,
ცისკრის ვარსკვლავი ნელა ქვრებოდა.

გემი დაებათ როგორც ცხოველი,
ხსნიდნენ საჩქაროდ ანძიდან აფრებს.
ხაშიმი ცრემლით თვალებ სოველი
უხმოთ უცქერდა ბედით თანაბრებს.

ვისაც არ ჰქონდა ოქრო და ვერცხლი
განუკითხავათ ხმელეთზე ყრიდნენ.
ლტოლვილებს სწვავდათ მგზნებარე ცეცხლი
მაგრამ მორჩილად ქედს დაბლა ხრიდნენ.

დევნილთა ცრემლი მთასაც გაბანდა, —
არ შეუსრულდათ დანაპირები.
როცა ნიავმა ნისლი გაფანტა
ხაშიმმა იცნო ზღვის ნაპირები.

აჭარის ნახვამ ასე ანაზდათ
გული დაუღბო და გაუხარა.
სხვაგან ცხოვრებას, შლილს ფიანდაზათ
არჩია ისევ იყოს ფუხარა.

აქ თავის ქვეყნის სიოც მონახავს,
აფხაზეთიდან გადმოქროლილი.
მთვარეც იოლათ მთებს გადმოლახავს
და იგრძნობს შვებას ბედჩაქოლილი.

ნეტავ აწ მაინც ხელი არ ახლონ,
აცალონ შრომით ოფლის მოდენა.
აქვე სამარეთ და სამოსახლოთ
მოუჭრან მიწა ნაბდის ოდენა.

მხატვრული კრიტიკისათვის

კონსტანტინე კაპანელი

კრიტიკის ცნება მეტად ფართოა და შეიცავს ადამიანის აზროვნების ყოველგვარ ფორმას: შეიძლება კრიტიკა ისტორიულ მოვლენების, ბუნების, ხელოვნების, ფილოსოფიის, ლიტერატურის; აზროვნების ისტორია არსებითად კრიტიკის, ან კრიტიკული სჯის ისტორიაა; მეცნიერული მსჯელობა შეუძლებელია კრიტიკის გარეშე, ფაქტების დალაგება და გადალაგება, სიტუაციების ანალიზი, ურთიერთობის შესწავლა წარმოადგენს ყოველთვის ერთგვარ შეფასებას, გასამართლებას, რაც დამახასიათებელია მთლიანად ადამიანის აზროვნებისათვის.

კულტურის ისტორია შეუძლებელია კრიტიკის გარეშე, მაგრამ თავისებურობის მიხედვით კრიტიკა ორგვარია: კრიტიკა ზოგადი და კრიტიკა სპეციფიური, ან ესთეტიური კრიტიკა.

ზოგადი გაგებით კრიტიკა წარმოადგენს მსჯელობას ბუნებისა და კულტურის სხვადასხვა მოვლენების შესახებ. ასეთ გაგებაში შეიძლება შევიდეს აგრეთვე სპეციალური მხატვრული კრიტიკა, მაგრამ ჩვეულებრივად მხატვრულ კრიტიკას თვლიან ცალკე დარგად და მიაკუთვნებენ ლიტერატურას: თავის სპეციფიკით, ჟანრული თვისებით მხატვრული კრიტიკა ლიტერატურის ერთ-ერთი დარგია და მის მიზანს წარმოადგენს მხატვრული შემოქმედების შესწავლა, მხატვრული გემოვნების დახასიათება, შეფასება; მხატვრული კრიტიკა არის არა მარტო თანამედროვე ლიტერატურის შეფასება, არამედ მთელს ისტორიულ მანძილზე შექმნილი მხატვრული ლიტერატურის განხილვა. მხატვრული კრიტიკა აუცილებლად თან უნდა ახლავდეს ხელოვნებისა და ლიტერატურის ისტორიას, როგორც აუცილებელი, განუყრელი ნაწილი ისტორიული შეფასებისა. ლიტერატურის ისტორია, რომელიც მხატვრულ კრიტიკას არ შეიცავს თავის შინაგანობაში, სქოლასტიკაა და მეცნიერულ ღირებულებას მოკლებულია. მეორე მხრით ხელოვნებისა და ლიტერატურის კრიტიკა არ წარმოადგენს არც ნაწარმოების მარტო შინაარსის თხრობას, არც კომენტარიებს: ლიტერატურის კრიტიკა ისეთივე ხასიათის შემოქმედებაა, როგორც ლირიკა, ეპოსი და სხვა ჟანრი. მაგრამ ლიტერატურული კრიტიკისათვის არ კმარა მარტო განწყობილება, ნიჭი, ალღო; საჭიროა აგრეთვე დიდი გონებრივი კულტურა, ცოდნა ფაქტებისა, ისისტორიისა, ფილოსოფიისა, ფსიქოლოგიისა. ლიტერატურული კრიტიკა თავის სპეციფიკით სინთეტიური დარგია და მისი არსებობა საჭიროებს ერთი მხრით დიდ ნიჭს, მეორე მხრით დიდ კულტურას.

კრიტიკოსი, რომელიც მიზნად ისახავს მხატვრული ნაწარმოების შეფასებას, უსათუოდ უნდა იყოს დიდი კულტურის პატრონი, რომ ყოველმხრივ შეაფასოს თავისი საგანი: ლიტერატურული ნაწარმოების შეფასება ფაქტიურად არის დამყარება გარკვეული ხასიათის ურთიერთობისა ლიტერატურული ნაწარმოებისა და საზოგადოებრივ-ისტორიულ ვითარებათა შორის. ლიტერატურული ნაწარმოების განხილვა შეუძლებელია მისი შინაგანი წყობის მთელი ანალიზის გარეშე: ფაბულისა და სიუჟეტის თავისებურება, ტიპების კლასიფიკაცია და ფსიქოლოგია, ავტორის მხატვრული მეტყველების ძირითადი თვისებები — აი მასალა, რომელიც უნდა განიხილოს ლიტერატურის კრიტიკამ; ვინც ამ საქმეს აწარმოებს, ის აუცილებლად უნდა იცნობდეს ეპოქის ისტორიულ, ეკონომიურ, ფსიქოლოგიურ მონაცემებს, ის უნდა იყოს ისტორიკოსი, ეკონომისტი, ფილოლოგი, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ვერ გაიგებს ავტორის კომპოზიციურ თავისებურებას, მხატვრულ მიზანდასახულებას, მეტყველების დამახასიათებელ თვისებებს, ტიპების განცდებს, ფსიქოლოგიას.

დიდი **სტალინი** გვასწავლის — მწერალი ადამიანის სულის ინჟინერია. რაოდენად მწერალი ადამიანის სულის ინჟინერია, იმდენად მხატვრულ კრიტიკას საქმე აქვს ადამიანის სულთან, განცდასთან, ფსიქოლოგიასთან, ქცევასთან, მხატვრული კრიტიკა ეხება ადამიანის მეს, არსს და უახლოვდება თავის ძირითადი ამოცანებით ფილოსოფიას.

მხატვრული კრიტიკა იძლევა ლიტერატურული ნაწარმოების აგებულების განმარტებას; მხატვრული კრიტიკა გამომდინარეობს მხატვრული ნაწარმოებიდან, ამ ნაწარმოების წყობიდან. არ შეიძლება მხატვრული კრიტიკის წარმოება თვით ლიტერატურული ნაწარმოების ფაბულის, სიუჟეტის, კომპოზიციის, თვისებების ანალიზის გარეშე რაოდენად თვითეული მხატვრული ნაწარმოები შეიცავს ადამიანურ განწყობილებათა ერთგვარ სისტემას, იმდენად ლიტერატურული ნაწარმოების კრიტიკა არის გარკვეული სულიერი მოვლენების, გარკვეული ფსიქოლოგიური ფაქტორების ანალიზი. სწორედ ამიტომ მხატვრულ კრიტიკას ყოველთვის თან სდევს ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური საკითხების და პრინციპების გარკვევა.

ისტორიულად გვაქვს ორგვარი მხატვრული კრიტიკა: დოგმატიური და მარქსისტული; დოგმატიური კრიტიკა შეიძლება იყოს წმინდა იდეალისტური, ემპირიული, იმპრესიონისტული, ექსპრესიონისტული და სხვა. ყველა მიმართულების დოგმატიურ კრიტიკას ძირითადად ახასიათებს მსჯელობა ისტორიული მომენტისა და სოციალური ფორმაციის გარეშე. დოგმატიური კრიტიკა ეყრდნობა ერთხელ და სამუდამოდ შემუშავებულ პრინციპებს, ანგარიშს არ უწევს კულტურის ისტორიულ-სოციალურ და კლასობრივ თავისებურებას. ამიტომ ასეთი კრიტიკა ყოველთვის ზეისტორიული და ზესოციალურია. დოგმატიური კრიტიკა მწერალს იხილავს საზოგადოებრივ-კლასობრივი გარემოცვის გარეშე: აქედან გასაგებია, რატომაა დოგმატიური კრიტიკა არაკონკრეტული, განყენებული, მშრალი. სულ სხვაა მარქსისტული კრიტიკა. ჭეშმარიტი მარქსისტული მხატვრული კრიტიკა ეყრდნობა **მარქსის, ენგელსის, ლენინისა და სტალინის** მიერ მოცემულ ესთეტიურ პრინციპებს. ამ პრინციპების მიხედვით მწერალი, ხელოვანი, მხატვრული ნაწარმოები განიხილება, შეისწავლება კონკრეტულ საზოგადოებრივ-ისტორიულ გარემოცვაში; მთელი მხატვრული მარაგი და სტილი, დამახასიათებელი მწერლისა და მისი ნაწარმოებისათვის, მარქსისტულ-ლენინურ მხატვრულ კრიტიკაში უკავშირდება რეალური ცხოვრების პირობებს, სინამდვილეს, გაბატონებული კლასის ან სოციალური ფენის მისწრაფებას, ერთი სიტყვით, საზოგადოებრივი განვითარების წამყვან ძალას; აქედან, ცხადია მარქსისტულ-ლენინური მხატვრული კრიტიკის კონკრეტული, ისტორიულად ზუსტი ხასიათი: ფაბულა, სიუჟეტი, ტიპები, სიტუაციები მხატვრულ ნაწარმოებში მარქსისტული კრიტიკისთვის წარმოადგენენ სოციალური ფსიქოლოგიის გაბატონებული მოთხოვნილებების გამტარებლებს და თითოეული ლიტერატურული ჟანრი, მოცემული მწერლის მიერ, სრულყოფილია იმდენად, რამდენად მასში გამოისახება ეპოქის საზოგადოების სოციალური გარემოცვის სულიერი დრამა. ამიტომ შეიძლება ითქვას, ლიტერატურული ჟანრი თავისთავად, როგორც თვითმიზანი, არ არსებობს: ის ემსახურება სოციალური ფსიქოლოგიის სტადიალურ მოთხოვნილებებს, ეპოქის, საზოგადოების, ისტორიის ტკივილებს, განცდებს, მისწრაფებებს, იდეალებს, სურვილებს, არც ერთ ჟანრს ისტორიის წინაშე არა აქვს უპირატესობა: ლირიკა, ეპოსი, დრამა ერთნაირად შეიძლება გამოიყენოს მწერალმა იმის მიხედვით, რომელი მათგანი მწერალს უფრო ემარჯვება. კრიტიკოსს მომარჯვებული აქვს თანამედროვე სპეციალურ მეცნიერებათა მიღწევები და აფასებს ლიტერატურულ ნაწარმოებს არა სუბიექტური განწყობილების და კაპრიზების ამყოლეობით, არამედ მეცნიერული, სოციალური ობიექტივიზმის საფუძველზე შემდგარი მსჯელობით და ანალიზით: მარქსისტულ-ლენინური მხატვრული კრიტიკა ყოველთვის ობიექტური, კონკრეტული და მეცნიერულია.

უკავშირებს რა მხატვრულ ნაწარმოებს ისტორიას, საზოგადოებას, მარქსისტულ-ლენინური კრიტიკა ცდილობს ყოველთვის გაითვალისწინოს მწერლის მიზანდასახულება, იდეოლოგიური მიმართულება, მსოფლმხედველობა.

თანამედროვე ქართული ლიტერატურა შინაარსით სოციალისტურია და ამით მისი მიმართება გარკვეულია, მაგრამ თანამედროვე ქართული ლიტერატურა და მისი კრიტიკა არ არის მჭიდროდ დაკავშირებული თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებთან. სოციალისტური შინაარსი კი გარკვევით ავალებს თანამედროვე ქართულ ლიტერატურას მჭიდროდ დაუკავშირდეს მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე დონეს. დღევანდელი ბუნება და ცხოვრება სხვანაირად გამოიყურებიან. ადამიანის ძველი ნატურალური გარემოცვა დაიშალა, ადამიანი თავის გარშემო დღეს ხედავს არა მარტო ბუნების სტიქიებს, მათ ძლიერებას, წარმტაც ფორმებს, არამედ მათ გამოყენებასაც საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, ადამიანისათვის. იქ, სადაც ოდესღაც, შიშით შეპყრობილი და სულიერად შებოჭილი ადამიანი ცახცახებდა, იქ სადაც ადამიანს ადამიანი უღელს ადგამდა, დღეს სოციალისტური კულტურის დიდი ორგანიზაციები ეპატრონებიან დედა-მიწის სიმდიდრეს, ბუნების საუნჯეებს, სილამაზეს. დაიბადა ეპოქის ახალი სული და სტილი, სოციალისტური კულტურის მწერალმა უნდა განიცადოს ახალი ქვეყნის დაბადება და შრომის განთავისუფლება.

დღეს უბრალო, მშრალ ტელეგრამს მოაქვს დიდი ემოციების გამომწვევი ამბები: ოკეანეების გამოკვლევები, უდაბნოების გამოცოცხლება არხებით, ჭაობების ამოშრობა მაღალი ტექნიკით—შესანიშნავი მასალებია სოციალისტური ეპოსისა და ლირიკისათვის. მაგრამ ამისათვის არ კმარა მარტო დანახვა, საჭიროა ამის განცდა, შეყვარება, შეთვისება. კაპიტალისტურ ქვეყნებში ფიქრობენ, რომ მეცნიერება და ხელოვნება ერთმანეთის წინააღმდეგია, ჩვენი სოციალისტური კულტურის სინამდვილე ამტკიცებს, რომ მეცნიერების გამოყენება ბუნების ძალების გარდაქმნისათვის, ახალ ბიძგსა და სტიმულს აძლევს მხატვრულ ფანტაზიას, პოეტურ განსახეობას, ოღონდ საჭიროა მწერალი იცნობდეს, რასაც ამბობს მეცნიერება ბუნების ძალების შესახებ, სტიქიონების შესახებ. ოკეანე, ტყე, მდინარე, ჰაერი, ღრუბლები, მზე, მთვარე დღევანდელ მეცნიერულ წარმოსახვაში შეიცავენ ისეთ სახეებს, რაც სრულებით უცნობი იყო წინა საუკუნეების ადამიანებისათვის და რაშიაც იმალება პოეტური განსახეობის უდიდესი მასალები.

ძველი მწერლობის ასახვაში ბუნება გამოიყურება სტატიურად, დღევანდელ სოციალისტურ მწერლობაში უნდა ჩანდეს ბუნების დინამიურობა, რომელიც ერთდაიმავე დროს არის კაცობრიობის საკუთრებაც და არსენალიც.

მხატვრული კრიტიკა ვერ ჩამოშორდება პოეტური, მხატვრული ასახვის ძირითად ამოცანებს და ისტორიულ-საზოგადოებრივ მოთხოვნილებებს. შეიარაღებული თანამედროვე მეცნიერების მონაცემებით, მხატვრული კრიტიკა შლის მხატვრული წარმოსახვის ჰორიზონტს და უკავშირებს ერთმანეთს ისტორიასა და ლიტერატურას საზოგადოებრივი კულტურის განვითარების კანონზომიერებით, ცხოვრების მთლიანობის ესთეტიური წარმოსახვით.

სოციალისტური კულტურის ესთეტიკა არ არის პირადი განწყობილების, იმპრესიონისტული ათვალიერების ამყოლი. მისი საფუძვლები ყოველთვის დაკავშირებულია საზოგადოებრივი ვითარების ყველა დარგთან.

პოლიტიკურ - საზოგადოებრივი ცხოვრების ვითარებამ ჩვენს სინამდვილეში გაუსწრო ხელოვნებისა და ლიტერატურის განვითარებას. სოციალისტური კულტურა ისე სწრაფად ვითარდება, რომ ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგებში მომუშავეებს ესაჭიროებათ დიდი ინტენსიური მუშაობა, რომ ფეხდაფეხ გაყვენ სოციალისტური კულტურის გიგანტურ სწრაფვას, რომ არ ჩამორჩენ დიდი ეპოქის საქმიანობას.

განსაკუთრებით ბევრია გასაკეთებელი ხელოვნებისა და ლიტერატურისმცოდნეობის დარგში, ტრადიციულ ცნებათა გადაფასების დარგში. ამხანაგი **სტალინი** ჩვენ გვასწავლის ტრადიციის გაბედულ გადაფასებას, თუ ამას მოითხოვს სოციალისტური კულტურა, ახალი საკითხების წამოყენება.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ზოგიერთ შემთხვევაში სამეცნიერო მუშაობაშიც, დისერტაციების შეფასებაშიც იჭრება ხოლმე საზოგადოებაში განმტკიცებული დილეტანტური შეხედულებები ხელოვნებისა და ლიტერატურის შესახებ. თეატრალური, ან მუსიკალური კულტურის შესახებ. ერთხელ და სამუდამოდ შეჩვეულ პირობებში ძნელი ხდება ხელოვნებათმცოდნეობისა და ლიტერატურათმცოდნეობის ახალი საკითხების დასმა. ამხანაგი **სტალინი**, როგორც ცნობილია, მოითხოვს მეცნიერებისა და ხელოვნების ყველა დარგში ახალი საკითხების თამამად წამოყენებას, დასმას და გადაწყვეტას. მართლაც, სოციალისტური საზოგადოების გაზრდილი მეცნიერულ-ესთეტიურ მოთხოვნილებების დაკმაყოფილება შეიძლება მხოლოდ წინსვლით და ახალი საკითხების დასმა-გადაწყვეტით; სინამდვილეში კი შემთხვევითი განწყობილების მიხედვით ილებს ხშირად შეფასებას ლიტერატურული და თეატრალური კულტურის საყურადღებო მოვლენები, რასაც ადგილი არ უნდა ჰქონდეს სოციალისტურ საზოგადოებაში.

ლიტერატურის ისტორიების სახელმძღვანელოები უმრავლეს შემთხვევაში ისეა დაწერილი, რომ მკითხველს ყოველგვარი ინტერესი ეკარგება ლიტერატურისა და ხელოვნების ძეგლების შესწავლისა. ლიტერატურის ისტორია აუცილებლად უნდა შეიცავდეს მწერლის და მისი ნაწერების ესთეტიკურ შეფასებას. რა აზრი აქვს ლიტერატურის ისეთ ისტორიას, რომელიც არავითარ ინტერესს მწერლისა და მისი ნაწერებისადმი არ იწვევს, რომელიც დაწერილია უსულოდ, უგულოდ, ყოველგვარი ესთეტიური განცდის გარეშე, რომლის ავტორს არ შეუძლია თავისი ტემპერამენტისა და კულტურის სიალქატის გამო მხატვრული ნაწარმოების შეფასება.

სოციალისტური საზოგადოება, მისი ახალგაზრდობა, თანახმად პარტიისა და ხელისუფლების მოთხოვნილებისა, საჭიროებენ ესთეტიური, მხატვრული კრიტიკის მაღალ ნიმუშებს.

ახალგაზრდები*)

პანტელეიმონ ჩხიკვაძე

ნარინჯის გადარგვისა და მყნობის სეზონი იდგა.

მყნობაში არტელს ჩუტაც შველოდა. სკოლიდან დაბრუნებული ის თითქმის ყოველდღე სანერგეში მიიჩქაროდა და დღეღამის გაყრამდე თავაუღებლივ ჩაკირკიტებდა სათუთსა და თანაც რთულ სამუშაოს.

ჩუტას სიახლოვის გამო როსტომი ადგილს ველარ პოულობდა მოსასვენებლად და თავისთავს ხშირად საყვედრიდა: ეს რა მემართება, სად ვაჟკაცობა და სად „რაღაც სიყვარულობია“-ო, მაგრამ რაც დღე მიდიოდა, როსტომი თავშეკავებისათვის ძალასა და ნებისყოფას ველარ პოულობდა. მიყვებოდა ქვეცნობიერ მორევს ყმაწვილკაცურ გატაცებისას და მისდაუნებურად ღამეებს თეთრად ათენებდა...

ამხანაგებთან დამოკიდებულებაშიც ცვლილება დაეტყო როსტომს. ფიცხი ის მუდამ იყო, პირდაპირობაც ყოველთვის ახასიათებდა, მაგრამ ამ უკანასკნელად, სიფიცხეს ავადმყოფური მიზეზიანობაც ზედ დაერთო. ქალური ანჩხლობაც. სრულიად უსაბაბოდ მყნობელების ნამუშევარს უწუნებდა და უმნიშვნელო რამეზე ერთ ორომტრიალს ასტეხდა. ან კიდევ მთელი დღე მოღუშული იჯდა და დანა პირს არ უხსნიდა. ზოგჯერ ისე ღრმად შეტოპავდა ფიქრებში, რომ ხელში აღებული სამყნობი ნერგი ავიწყდებოდა და მანამ იდგა ასე გალენჩებული, სანამ ვინმე სიცილს აიტეხდა როსტომის საქციელის გამო.

როსტომი ასეთ დროს წითლდებოდა ხოლმე. დამცინავებსა და ლაზღანდარებს შენიშვნასაც არ მისცემდა: ვითომ ვერ შეუმჩნევიაო.

ერთ დღეს ფიქრებში გადაკარგულს სამყნობი დანა გადაავიწყდა და გონს მოსვლისას დანამომარჯვებული ხელი ისე მძლავრად გაიქნია უცაბედათ, რომ მარცხენა ხელზე საჩვენებელი თითი ძვლამდე გადაისერა.

— რა მოგდის, როსტომ! — მკვახედ შენიშნა ჭრილობის დანახვით გულშეწუხებულმა ჩუტამ.

— არაფერია! — მორცხვად მიუგო როსტომმა, ჭრილობას თუთუნი დააყარა და ცხვირსახოცით შეიხვია.

ჩუტა გასწყრა: როგორ იქნება ჭრილობისადმი ასე გათამამებაო, ეხლავე გავიქცევი—იოდსა და მარმაშს მოვარბენინებო, მაგრამ როსტომმა არ გაუშვა. მოხერხებულ დროს ყურში ესლა წასჩურჩულა ჩუტას: შენმა შემხედვარემ რატომ ყელი არ გამოვიჭერიო.

ჩუტა დაიბნა.

მას მოაგონდა როსტომთან ამასწინანდელი შეხვედრა არტელის სანერგეში... მოაგონდა როსტომის დაბნეულობა და ამღვრეული თვალები... შეადარა როსტომის დღევანდელი საქციელი იმ საღამოისას და გადაჭრით სთქვა: როსტომი „კარგის“ თვალით არ მიყურებსო.

ჩუტამ მოიწყინა. მოწყენას დაბნეულობაც ზედ დაერთო და თუ აქამდე როსტომის საქციელი იწვევდა სიცილს ტოლამხანაგებში, ეხლა როსტომს ჩუტაც წამოემატა.

დღეს სამუშაო ნორმაც ვერ შეასრულა კარსანიძის ქალმა. ნამყენები სამგზის გადასთვალა, მაგრამ ოთხასს ვერ გაშორდა.

ჩუტამ კიდევ უფრო მოიწყინა.

ბრიგადის ხელმძღვანელმა განგებ არ მისცა შენიშვნა ჩუტას, რადგან შეატყო, რომ აქამდე ყოველთვის ხელმარჯვე გოგონა ისედაც მწვავედ განიცდიდა დღევანდელ მარცხსა და ჩამორჩენას.

დაბინდდა.

განთიადელებმა სამუშაოზე ხელი აიღეს და აქეთიქით დაიფანტნენ. ჩუტა ჯერ კიდევ გამალებით მუშაობს სანერგეში. ფიქრობს იქნება როგორმე ნორმა ავინაზღაუროო, მაგრამ უკანასკნელად რომ დასთვალა გარდამეტი ნამყნობი, ოცდაათი ძირი მაინც დააკლდა.

უხალისოდ გასწია ჩუტამ შინისაკენ. თავჩაღუნული გამოვიდა სანერგედან და განზეც არ მიუხედავს, პირდაპირ სოფლის ორღობეში გაჩნდა გზის შესამოკლებლად.

როსტომი; თითქო ამას ელოდაო, ფეხდაფეხ გამოუდგა ჩუტას. ორღობის პირველსავე მოსახვევში წამოეწია და როყიოდ ჩაილაპარაკა, ეს ოხერი რა ადრე დაღამდაო.

დიდხანს იარეს გამგუნებულებივით. ურთიერთის სუნთქვასღა უგდებდნენ ყურს ხმაგაკმენდილი თანამგზავრები.

მოგვიანებით, როსტომმა დიდის წვალებით გაბედა ხმის ამოღება და ჩუტას ტლანქად შეეკითხა, ჩუტა, რატომ ხარ მოწყენილიო.

— არ ვარ მოწყენილი.

ისევ დადუმდნენ.

ასეთმა თავბოლომოკვეთილმა პასუხმა როსტომს დიდიხნით წაართვა მეტყველების უნარი. თითქო გონებაც შეეკრაო, უბრალო წინადადებას ვერ მოუყარა თავი საუბრის აღსადგენად.

როსტომმა თემშარისკენ მიუხვია. იფიქრა, მოდი ვნახო, ჩუტაც ამ გზით წამოვა თუ არაო.

ჩუტას შეეძლო ორღობე გადაეყოლა და ორიოდ წუთის შემდეგ შინ ყოფილიყო, მაგრამ არც კი დაფიქრებულა, როსტომს მხარდამხარ გაჰყვა.

როსტომს სიხარულისაგან თვალები გაუბრწყინდა. კარგი ნიშანიაო, — გაუელვა და ეხლა იმასღა ნანობდა, ორღობეში რომ თხრილებზე გადმოვდიოდით, რატომ ხელი არ ვახლე ჩუტას, რატომ ხელიხელგაყრილი არ გამოვყევიო.

ღმერთს ბავშვივით შეევედრა: ღმერთო, ერთი ტალახიანი ცუდი გზა შემახვედრე შინ მისვლამდეო, მაგრამ მოკენჭილ შარაზე ტალახს რა დააყენებდა.

შემდეგ ასე გადასწყვიტა: მოდი, გამოვდებ ხელს, თუ გასწყრება, ისევ გავუშვებ, თუ არა, გავკეთდები და ის იქნებაო.

გადასწყვიტა და მიახლოვებაც დააპირა, მაგრამ გამბედაობა ბოლომდე აღარ შერჩა. აფათურებული ხელი შარვლის ჯიბეში ჩაიწყო თითქო სიცივეს ერიდებაო.

—ჩუტა, რატომ მტანჯავ?!—აღმოხდა როსტომს ერთბაშად და ცოტა ხანს უკან თვითონ გააკვირვა, ეგ რა წამოვროშეო. ჩუტას მაინც შეატყდა თვალში, — რანაირ პასუხს მომცემსო.

— რა გტანჯავს, როსტომ? — გულუბრყვილოდ გაიკვირვა ჩუტამ.

— „რა“ კი არა... შენ მტანჯავ.

— მე? არაფერი არ მესმის.

— გული რომ გქონდეს... გაიგონებდი...

— განა გულითაც უსმენენ?

— არა, მაგრამ გული გულს იცნობსო, — გამიგონია... შენ უგულოდ მეჩვენები.

ისევე დადუმდნენ.

გზადაგზა როსტომმა უკანასკნელი გამბედაობა მოიშველა და ჩუტას მოკრძალებით შეახო ხელი მკლავზე.

ჩუტა გაირინდა.

როსტომი კიდევ უფრო წათამამდა და ქალის მკლავი ნიჩბისოდენა თათში ამოიმწყვდია. ხელის მოჭერას მოერიდა, კოჟრებმა ნაზი კანი არ ატკინოსო, მაგრამ როსტომისთვის სრულიად მოულოდნელად ჩუტამ თავისი მკლავი ტანზე მიიკრა და როსტომს ჟრუანტელმა დაჰკრა თხემიდან ფეხის ფრჩხილებამდე.

კიდევ კარგა ხანს იარეს ხმაამოუღებლივ. როსტომი ეხლა სულ იმას ნატრობდა, გზა გაგრძელდეს და ჩუტა ხელიდან არ გამისხლტესო.

მთვარე გადმოადგა აჭარის ქედს.

ლიმონისფერი შუქი რძესავით ჩაიღვარა კოლხეთის მიდამოებში.

როსტომმა და ჩუტამ ერთდაიმავე დროს შეხედეს გაბადრულ მთვარეს.

— ამბობენ, მთვარე შეყვარებულთა მფარველიაო. — დაარღვია სიჩუმე როსტომმა.

— არ ვიცი... შეყვარებული რომ ვიყო, იქნებ მეც მეგრძნო მისი მფარველობა.

— არავინ გიყვარს ჩუტა? — უხელთა დრო როსტომმა.

— ჯერ არავინ.

— არც არავის შეიყვარებ?

— სანამ სწავლას არ მოვრჩები... არა.

— აკი, წელს ამთავრებ საშუალოს.

— უმაღლესი?

— ერთი შენც. ქალი და უმაღლესი. უმაღლესს შემდეგაც მოესწრები. — გამოასწორა შეცდომა როსტომმა.

ჩუტამ ირიბად ახედა როსტომს. კომკავშირელს დამიხედეო, დაუქნია თითი მუქარის ნიშნად და მანამ არ მოეშვა, სანამ როსტომს ბოდიში არ მოახდევინა. როსტომმა მობოდიშებაში დრო უხელთა. ჩუტას ხელი ჯერ გულში ჩაიკრა და გათამამებულმა ტუჩების შეხებაც განიზრახა, მაგრამ უცებ შეკრთა და ხელზე საკოცნელად დახრილი თავი მაღლა ასწია.

კიდევ კარგა ხანს იარეს ხმაამოუღებლივ. როსტომი ხანდახან არწივისებურად დახედავდა ჩუტას ზევიდან, ხან თავს დახრიდა — თითქო ჩუტას რაღაც უნდა წასჩურჩულოსო, მაგრამ დრო შეუმჩნევლად გარბოდა, გზა მოკლდებოდა... სადაც იყო, ჩუტა შინ შეუხვევდა. როსტომს კი ჯერაც ვერაფერი ეთქვა მისთვის. ტყუილუბრალოდ ატარა დაქანცული გოგონა ამსიშორე გზით, ხვაშიადი მაინც ვერ გაუმხილა.

— ჩუტა! — თითქო რაღაც უნდა შეემუდაროსო, ერთბაშად აღმოხდა როსტომს.

— რა გინდა?

როსტომი შედგა. შეყოყმანდა ერთი წამით და ძლივს — მოხვეჭილი გამბედაობა სადღაც გაქრა.

— რატომ არაფერს იტყვი, როსტომ!

— იცი რა, ჩუტა! ვთქვათ გამოჩნდა ვინმე თავხედი... — შებორძიკდა როსტომი, მაგრამ ეძალა და ისევ რიხით განაგრძო: — მოვიდა შენთან და უმაღლესში მოწყობამდე... სიყვარული გამოგიცხადა, მაშინ?

— უარით გავისტუმრებ.

— რომ არ იყაბულოს?!

— ნეტა ვინ იქნება, მართლაც ისეთი თავხედი, რომ სწავლაზე ხელი ამაღებინოს?!

— თუნდაც... შენი კარგი ნაცნობი და ამხანაგი... როსტომი.

ჩუტა შეკრთა. ირიბად შემოხედა როსტომს მთვარის შუქზე და ღიმილით უთხრა:

— მე როსტომზე ასეთი ცუდი წარმოდგენა არა მაქვს.

— რა არის აქ ცუდი?

— ძალდატანებაზე ცუდი და გასაკიცხავი რაღა არის ამ ქვეყანაზე.

— რა? მწუნობ თუ? — გაფიცხდა როსტომი.

— დაწუნება არაფერ შუაშია... მოვრჩები სწავლას და არჩევანსაც მაშინ გავაკეთებ.

— მე ეხლავე მოველი პასუხს, ჩუტა!

როსტომი შეჩერდა. ოდნავ უხეში ჟესტით ჩუტაც თავისკენ შემობრუნა და თვალებში შეატყდა.

— რამ გაგაგიჟა, როსტომ!

— სიყვარულს სიგიჟეც თან ხლებია... ნუ გაგიკვირდება.

— მე ვერაფერ პასუხს ვერ გაგცემ....

— არ მოგწონვარ? — ამოიდგა ენა როსტომმა და თავგზააბნეულ გოგონას სული აღარ მოათქმევინა, ისე სხაპასხუპით წაუშინა შეკითხვები.

— მოწონება სიყვარულს როდი ნიშნავს...

— მწუნობ? — კვლავ გაიმეორა როსტომმა.

— არ გწუნობ და არც.. ჩემი პასუხი ვგონებ გასაგები იყო... ისე არც ძალიან მოსაწონია, რომ კომკავშირელი ვაჟი შვიდწლედის ამარად აპირებ დარჩენას. მაგ ცოდნით შორს ვერ წახვალ.

როსტომი ჩაფიქრდა.

— უსწავლელობით მწუნობ! — მოგვიანებით ამოღერღა როსტომმა. — რომ ვისწავლო?

— ისე მელაპარაკები, როგორც ჩვენი თანამედროვე რომანისტების შეყვარებული გმირები ეუბნებიან ერთმანეთს, სანამ დამკვრელი არ გახდები არ გამოგყვები, სანამ ტრაქტორისტი არ იქნები არ შეგირთავო... მეც ისღა დამრჩენია გითხრა, ისწავლე, ჩემო როსტომ, გახდი აგრონომი, ან ინჟინერი და გამოგყვები-მეთქი.

— მოგიკვდეს როსტომი! — ჩაურთო ფიქრებში წასულმა როსტომმა. ჩუტას სიცილი აუტყდა... ქარაგმას ვერ მიმიხვდაო.

როსტომი კვლავ შეეკითხა: რომ ვისწავლო?

ჩუტამ ხელი მისცა და გამოთხოვების ცერემონიის დროს უსიტყვოდ აგრძნობინა, თუ ისწავლი, თანახმა ვარო. უკანასკნელად ერთხელ კიდევ მოუჭირა ხელი ხელზე და წასვლა დააპირა, მაგრამ როსტომმა მთელის არსებით თავისკენ მოიზიდა, ჯერ მკერდზე მიიკრა, მოულოდნელად თავი გადაუწია და გაოგნებულ ჩუტას ყურის მახლობლად აკოცა. ჩამოშლილმა კულულებმა ხელი შეუშალეს როსტომს ნაღდ კოცნაზე, მაგრამ ჩუტას მაინც ნაკვერცხლებივით მოხვდა როსტომის ტუჩები და როსტომს კი ასე მოეჩვენა, თითქო ანთებულ თაფლის სანთელს დააკრა ტუჩები.

— როსტომ! — ჩურჩულით აღმოხდა განცვიფრებულ ჩუტას. მას მოეჩვენა, მთელის ხმით დავიწივლეო, მაგრამ სინამდვილეში როსტომმაც ძლივსძლივობით გაიგონა ნაზად წარმოთქმული სახელი.

ჩუტა კალმახივით გასხლტა და ეზოში შეირბინა. ის ღამე თეთრად გაათენა ჩუტამაც. ეს იყო პირველი თავისდაუნებური ღამის თევა ჩუტასი.

◆

---

*) თავი რომან „ახალი ხმელეთის“ მეორე ნაწილიდან.

ვერიკო ანჯაფარიძე

აკაკი [illegible]

[illegible]

ვლადიმერ მაიაკოვსკის

[illegible]

[illegible]

ვლადიმერ მაიაკოვსკისადმი

[illegible]

[illegible]

მწერალთა კავშირში

[illegible] საიუბილეო კომისიის [illegible]

[illegible]

მაიაკოვსკის გარდაცვალებიდან 10 წლის აღსანიშნავი საღამოები

[illegible]

პარტიული ცხოვრება

[illegible] სხდომები საქართველოს კ. პ. (ბ) XIII ყრილობის მასალებს

[illegible]

ოქრო

[illegible]

[illegible]

([illegible])

ლატვიელთა სახალხო პოეტი ი. რაინისი

ს. სარიშანიძე

[illegible]

[illegible]

მწერალთა საქალაქო კრება

[illegible]

საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმი

კონსტ. ლორთქიფანიძის „უკვდავება" რუსულად

[illegible]

კომედიურ კინო-სცენარების კონკურსი დასრულდა

[illegible]

„ლაკილ პირველი"

[illegible]

საბლიტგამში

[illegible]

„საბჭოთა ხელოვნება"

№ 6

[illegible]

„სსრ კავშირის გმირი ელ. ნანეიშვილი"

[illegible]

აკაკის ნაწერების უშეცდომოდ გამოცემისათვის

არჩ. ახნაზაროვი

კორექტურა

[illegible]

თევდორე

ი. მჭედლიშვილი

[illegible]

სარედაქციო კოლეგია: [illegible]

რედაქციის მისამართი: მარჯანიშვილის ქუჩა № 18. (მწერალთა სახლი) ტელეფონი 3—47—10.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 191